№ 260
ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 260
ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისა-
წვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ საქმისას.

ტფილისი წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანნა მერკვილაძისა.**

(10—178—7)

## მაღაზია
ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობისა
## „შუამავალი“

**გადატანილ იქმნა** გოლოვინის პროსპექტზედ ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზედ).

აუწყებს რა **გამგეობა „შუამავალისა“** პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია **შეახლებულ და შევსებული არის** ყოველ გვარის საუკეთესო საქონლითა, როგორც საბაკალეულო-საგასტრონომეულო, აგრეთვე სხვა-და-სხვა სასმელებითა და სანოვაგითა.

**ფასი ყველაფერზედ ზომიერი ჰ გადაჭრილია.**

**გამგეობას სრული იმედი აქვს საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა.** (5—238—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბალთაზოლოვი**—შინაგანი და ჰარო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ჰ საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოთი:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. ზააკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფნი (ელექტროთერაპია). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფნი.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ი. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

## ახალი ამბავი

*** ხვალ, 1 დეკემბერს, საღამოს 7½ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ამავე საზოგადოების წევრთა კრება მოხდება. განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული: 1) მიმდინარე საქმეები; 2) საზოგადოების წევრის ა. ი. სააკოვის მოხსენება: „ჰოტენტოტური ბალინჯო ახალ-ქალაქის მაზრის მინდვრებში ჰ საშუალებანი მის მოსასპობლად. კრებაზედ დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

*** ტფილისის ბავშვთა თავ-შესაფარის სასარგებლოდ ხვალ, 1 დეკემბერს, ძმ. ნიკიტინების ცირკში წარმოდგენა იქმნება გამართული.

*** 27 ნოემბერს ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ლაპარაკი ჰქონდა ქალაქის პირველ-დასაწყის სასწავლებელთა მოწაფეთათვის სასარგებლო თავ-გასართობთა გამართვის შესახებ, რომლისთვისაც ქალაქს წრეულს 1500 მანეთი გადაუდვია. კომისიას ამ საქმის თაობაზედ ქალაქის სასწავლებელთა გამგენი მოუწვევია მოსალაპარაკებლად.

*** ქალაქის გამგეობას შეუწყნარებია ქ-ნის პეტუხოვიჩის შუამდგომლობა, რომლითაც იგი ქალაქის დედათა სამეურნეო სკოლის ასაგებად საჭირო მიწასა სთხოვს.

*** განზრახვა აქვთ ამ წლის 1 დეკემბრიდგან ამიერ კავკასიის რკინის გზის მთავარს საბუჰგალტერიოში სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელი კასა გახსნან, რომლის განყოფილება რკინის გზის 28 სადგურზედ იქმნება გამართული.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს განკარგულება მოუხდენია, რომ ქუთაისის ყველა ეკლესიებში კვირაობით წირვის შემდეგ მღვდლებმა სახელოვნო მოძღვრებანი იქონიონ ხოლმე მრევლთან.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, მანგლისის სამკურნალოში 10 საწოლი კიდევ მოუმატებიათ, ასე რომ ამ ჟამად სულ 57 ავადმყოფის საწოლი ადგილია სამკურნალოში.

*** როგორც გაზ. „Сѣв. Кур.“ შეუტყვია, შინაგან საქმეთა სამინისტროში პეტერბურგში მცხოვრებ კავკასიელთა სამზრუნველოს წესდება წარუდგენიათ დასამტკიცებლად. სამზრუნველოს აზრადა აქვს გაჭირვებულ მცხოვრებთ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს. სამზრუნველო მომავალ წლიდგან დაიწყებს მოქმედებას.

*** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი „ქრთული კედლის კალენდარი“ 1901 წლისა, გრ. ჩარკვიანის მიერ შედგენილი, წელიწადი მეცამეტე. კალენდრის შინაარსი უკვე ცნობილია საზოგადოებისათვის. მოქცეულია ამ კალენდარში ყოველგვარი საკალენდარო ცნობები ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთათვის, აგრეთვე ისტორიული ცნობები, ზევიდგან კალენდარს აქვს საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი XII-სა და უკანასკნელ ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის სურათი. კალენდარი კარგად და სუფთადაა გამოცემული და ღირს 40 კაპეიკად.

*** გუშინ-წინ, 28 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში რუსულმა საოპერო დასმა პუჩინის 4 მოქმედ. ოპერა „Богема“ წარმოადგინა. განახლების შემდეგ ამ სეზონში ეს ოპერა მეორედ წარმოადგინეს. წარმოდგენაში, როგორც პირველად, ისე ახლაც დასის საუკეთესო არტისტები იღებდნენ მონაწილეობას: ქ-ნნი პაპაიანი და რადინა, ბ-ნნი: ბარისენკო, კამიონსკი, გორიაინოვი და გერასიმენკო. პიესამ საზოგადოდ საუცხოვოდ ჩაიარა, რადგანაც მოთამაშენი ერთმანერთს ყოველ მხრივ ხელს უწყობდნენ. საზოგადოებამ მოთამაშენი მრავალგზის ტაშის კვრით დააჯილდოვა. ხალხი ბლომად დაესწრო.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

23 ნოემბერს, დილის თერთმეტ საათზე, თავად-აზნაურებმა ქუთაისის საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ ფიცი მიიღეს ვიცე-გუბერნატორის თანადასწრებით. იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა ფიცის მიღებამდე მიჰმართა კრებას მეტად საგულისხმო სიტყვით, უ დ სამღვდელომ სიტყვაში ის დედა-აზრი გაატარა, რომ თავად-აზნაურობა უნდა ცდილობდეს დაიცვას თვისის სახელის შესაფერი და ქვეყნის გამოსადეგი ღირსებანი და რომ იგი მოვალეა ისეთი კაცი აირჩიოს წინამძღოლის თანამდებობაზედ, რომელიც განათლებით დროის შესაფერი იყოს და ზნეობითა და პატიოსნებით შეუბღალველი.

ამის შემდეგ წინამძღოლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი თავ. ნიჟარაძე თანამდებობის დაიკავარის დაბმაში. თავმჯდომარემ თ. ნიჟარაძემ აუწყა თავად-აზნაურობას რომ საიმპერატორო უწყება ამბავი მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის უკეთ ყოფნის. ამ ამბავს თავად-აზნაურობა „ურას“ ძახილით მიეგება და დაადგინა, წრფელის სიხარულის გრძნობათა გამოსახატავად უქვეშევრდომილესი ტელეგრამმა მიართვას მათს უდიდებულესობას. ამასთანავე დაადგინეს, მათს უდიდებულესობას მიართვან მეორე სამადლობელი ტელეგრამმა იმ მოწყალებისათვის, რომელიც მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ინება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისათვის სახელმწიფო და საერობო გადასახადთა ვალების პატივებით.

კრების დასასრულ წაკითხულ იქმნა სასამძიმრო ტელეგრამმა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის იმერეთინსკის ქვრივისადმი, მისის მეუღლის უგანათლებულესის თავადის ალექსანდრე კონსტანტინეს ძის გარდაცვალების გამო.

აქვე მოგვყავს დეპეშების შინაარსი.

„დივადია.

მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, გულის თრთოლვით შესცქეროდა რა თქვენის ავადმყოფობის მიმდინარეობას და თვისის საგანგებო კრებაზე აღავლინა რა უზენაესის მიმართ სამადლობელი ვედრება, რათა მოენიჭოს განკურნება თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას,—მავალებს, რომ თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფევ, ფერხთა ქვეშე დავუგო გრძნობანი თვისის განუსაზღვრელის სიხარულისა“.

„დივადია“.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ 23 ნოემბერს საგანგებო კრებაზე, კრძალვით მოისმინა რა თქვენი იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელობითი ბრძანება, უმართებულესის სენატისადმი ამა წლის 12 ივნისს მიცემული, სახელმწიფო და საერობო გადასახადების შემსუბუქების შესახებ, დამავალა, თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფერხთა ქვეშე დავუგო უღრმესის მადლობისა და შეურყეველის უქვეშევრდომილესის გრძნობანი.

ქუთ. გუბერნიის წინამძღოლის თანამდ. აღმასრ. თ. დ. ო. ნიჟარაძე“.

ვარშავა.

„უგანათლებულეს თავადის იმერეთინსკის მეუღლეს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, გაიგო რა ფრიად სამწუხარო ამბავი თქვენის მეუღლის უგანათლებულესის თავადის ალექსანდრე კონსტანტინეს ძის გარდაცვალებისა, დამავალა განვუცხადო თქვენს უგანათლებულესობას გრძნობა უღრმესის მწუხარებისა.

თავად-აზნაურობა დიდად პატივსა სცემდა განსვენებულ თავადს, ვითარცა თვისის ყოფილ მეფეთა დიდებულ შთამომავალს, რომელმაც ტახტსა და თვისს მამულს დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია“.

მეორე დღეს, 24 ნოემბერს, თავად-აზნაურობა საკრებულო ტაძარში შეიკრიბა განსვენებულის თ. იმერეთინსკის პანაშვიდზედ. პანაშვიდის შემდეგ ჩვეულებრივი კრება გაიმართა თეატრის შენობაში. ეს დღე ორის მაზრის წინამძღოლისა და მათის კანდიდატების არჩევას მოანდომეს. ოზურგეთის მაზრის წინამძღოლად ისევ თ. კ. დ. ერისთავი აირჩიეს, მისს კანდიდატად თ. ვახტანგ დავ. ძე გურიელი; რაჭის მაზრის წინამძღოლად აირჩიეს თ. დიმიტრი ყიფიანი, მისს კანდიდატად თ. კონ. გიორ. ძე წულუკიძე.

25 ნოემბრის კრება მეტად საინტერესო გამოდგა: აქაურის კრებების ავმა და კარგმა ერთბაშად გამოიჩინა თავი. ჯერ, კარგა ხანია, რაც ბ-ნ დ. ნ. ბაქრაძის კანდიდატობის შესახებ იყო სჯა და ბაასი საზოგადოებაში. ამბობდნენ, რომ იგი უეჭველად აპირობს კენჭი იყაროს გუბერნიის მარშლობაზეო, მაგრამ ეს ხმა საქმით არ დამტკიცდა. ბ-ნმა ბაქრაძემ კენჭი არ იყარა. დაუდგეს თ. ს. გ. წერეთელს ყუთი და, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის ერთხმად იქმნა არჩეული, 156 კენჭში შავი მხოლოდ 12 ამოუვიდა. ასეთი გამარჯვება ხანგრძლივისა და ალტაცებულის ტაშის ძახილით დააჯილდოვა კრებამ.

ახლა ჯერი მიდგა მეორე კანდიდატზე. წინა დღეებში შეკრებილიყვნენ საპატიო თავად-აზნაურნი, საუკეთესო ინტელიგენცია და მაზრის წინამძღოლები და იქ გადაეწყვიტათ, რომ არც ერთს მაზრის წინამძღოლთაგანს ამ თანამდებობაზედ კენჭი არ ეყარა.

კრებაში კანდიდატების დასახელების დროს თ. ნ. ყ. თავდგირიძის სახელს გაიძახოდნენ, რადგანაც წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდათ კრების მოთავეებს, რომ ამის მეტს კანდიდატზე კრინტიც არ უნდა დაძრულიყო. ზოგიერთნი შორაპნელნი თ. ნიჟარაძის კანდიდატურას ჩამოეკიდნენ. თ. ნიჟარაძემ თავი ვეღარ დაიჭირა და მისს უარში „კი“-ზე მეტი „ჰო“ გამოდიოდა. ერთის სიტყვით, მისი უარი ორჭოფი გამოდგა. მაშინ ეჭვი შეიტანეს სხვა მაზრის წინამძღოლებმა და კრების მოთავეებმა და პირდაპირ შეეკითხნენ თ. დ. ნიჟარაძეს, მაგრამ გადაწყვეტილი პასუხი ვერ მიიღეს. კრებაში შეიქმნა ჩოჩქოლი და მითქმა მოთქმა.

ეს აღელვებული კრება რაღაც სასწაულით მალე დაწყნარდა. თ. ნიჟარაძე ორის ცეცხლის მაგიერად სამში ჩავარდა: ცალკე „საეგებიო“ და „სავინიცობო“ გუბერნიის მარშლობის იმედი, ცალკე ექვს ძმათა წინამძღოლთა შორის დღებული პატიოსანი სიტყვა, ცალკე იმის სურვილი, რომ გამოეცადა ერთგულება საზოგადოებისა, რომელსაც, როგორც თითონ აღიარა, ამდენი ხანია თავდადებით ემსახურებოდა და, ვინ ჩამოსთვლის რავდენი „ცალკე“ აქ შეიძლება მოიყვანოს კაცმა,— ყველა ეს ერთად შემოეხვია თ. ნიჟარაძეს. როცა ამ ფიქრებში იყო გართული, ჩემის მოკლე აზრით, თითქო მფარველი ანგელოზივ თ, მოევლინა მას თ. კირ. ლორთქიფანიძე და ისეთი კრების მშვიდობის-მყოფელი და განსაცდელში მყოფთა გამოსაფხიზლებელი სიტყვა წარმოსთქვა, რომ აუცილებლად მოველოდით მშვიდობით გადარჩენას და უვნებლად ფონს გასვლას. ვაი შენს მტერს: ამ სიტყვის გათავებისთანავე წამოდგა თ. ნიჟარაძე და ამდენ კაცს პირში წაუდგა: მე არასოდეს არ მითქვამს უარი კანდიდატობაზე. რაკი თ. ს. გ. წერეთელი ასე გამარჯვებით გავიდა, მე რატომ არ უნდა ვიყარო კენჭიო. მართალია, მაღალი განათლება არ მიმიღია, დიპლომი არა მაქვს, მაგრამ თანამდებობას უმწიკვლოდ ვასრულებ, არაოდეს შეცდომა არ მომსვლია და დიპლომიანებზედ მეტი თუ არა, ნაკლები სარგებლობა მაინც არ მომიტანია საზოგადოებისათვის. დიპლომიანები თუ საქმეს აკეთებენ სხვისის შემწეობით და დახმარებითო, ჩემი შრომა და მოღვაწეობა საზოგადოებას დანახული აქვს და ახლა მეც ვნახავ, რა ფასის დადება იცის საზოგადოებამ სხვისი მოღვაწეობისა. ეს სთქვა, თავისი მოვალეობა დროებით მეორე მაზრის მარშალს გადასცა და თითონ კრებას განშორდა.

დაუდგეს ყუთი თ. ნიჟარაძეს: 104 შავი ამოუვიდა და 50 თეთრი. მერმე თ. ნ. თავდგირიძეს უყარეს კენჭი: ამან 88 თეთრი მიიღო და 66 შავი.

## წერილი თრიალეთიდგან

ისედაც მიყრუებულს ბორჩალოს მაზრაში თრიალეთის საბოქაულო მთლად გადაკარგული და მიყრუებულია. სოფლიდგან სოფელში წამსვლელი ცხენოსანი ტლაპოში იხრჩობა და იღუპება,— ურმების ტარება ხომ ცხელს ზაფხულშიაც საშიშოა. როგორც ოდესმე შამილს დაპყრობისაგან სალი კლდენი და უგზოობა ჰფარავდა, ისე ამ უბედურ მხარის გაუნათლებლობასა და ვარამს მანგლისიდგან მიუვალს ვკეხზედ დამდგარი ტალახი ტბორეები ჰფარავს; რატევანიდგან და დმანისიდგან 15-ოდე ვერსის მანძილზედ ხომ გზა სულ მთლად აღარ არის, აქ მოსახლე თათარ, ქართველ, ბერძენ, დუხაბორებს ორ დღეზედ სიხარულით შეაკეთებინებდნენ ამ გზას. აღბულახიდანაც (БѢЛЫЙ КЛЮЧЪ) უშველებელი ხრამი და კისერ-სამტვრევი ტყის გზაა... ამ რიგად ეკიპაჟით მისვლა ამ კურთხეულს მხარეში, სადაც 4,000-ზედ მეტი კომლია დასახლებული და ბუნებით ასე მდიდარი, ყოვლად შეუძლებელია. იგი ქვეყანას, ქვეყანა მას მოწყვეტილია...

წელს ამ უბედურს მხარეს დიდი გაჭირვება ადგია: მოსავალი განუწყვეტელმა წვიმებმა სულ დაულპო; ზოგი სოფლები შარშანაც დაისეტყვნენ და წელსაც; ამისათვის პური და ქერი მეტად შეძვირდა: თაღარი —(7 ფუთი) პური 10 მან. ფასობს, მაგრამ მისი შოვნა და მოტანა უგზო-უკვლობით შეუძლებელი ხდება, ამისათვის აქაური მკვიდრი საზამთროდ დაბლობ ადგილებში ჩასვლასა რჩეობს, სადაც რიგიანი გზებია, რადგანაც აქ სარჩოს მოტანა მეტად ძნელია. აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“!.. ერთს თათარს, გვარად იარადუნ ყულიას, ნახევარი ვერსი საშიში გზა თავისის ხარჯით გაუკეთებია და ახლა ქვეყანა მას უმადლის. აქ მყოფს ბოქაულს, განსვენებულს იორამიშვილს ს. ბაშკიჩეთთან ერთი ვერსი კლდიანი გზა გაუჭრევინებია მგზავრთათვის და მთელი დუნია იმასა ლოცავს.. ყველა ზემოდ მოყვანილ ადგილებთან შედარებით დანარჩენი გზების გაკეთება ძნელი სულაც არ არის და ხალხი განგაშით გავა საკეთებლად.

— აქაურმა თათრებმა თავიანთი სოფლები ნამდვილ საყასბოდ გახადეს: ჰხოცავენ ბერძნებისა და ქართველების საქონელსა და დამარილებულს საზამთროდ ინახავენ.. ვისაც შეძლება აქვს, ნაპარევ საქონელში ერთ თუმანს გაუტანს და, მეორე დღეს უკან მოუვა, არა და მშვიდობით სამარადისოდ დაკარგულო!.. მოეწონა თათარს ბერძნის მსუქანი კამეჩი საქალამნედ, დაჰკლავს, ტყავს წაიღებს, ხორცს წყალში ჩაჰყრის... ასეთი ოინი ამ დღეებში ბერძნის მამასახლისს-ნიკიფოროვსაც-კი უყვეს .. არც კანცელარია, არც მოხელეების უნარი, არც რაიმე საზოგადო საქმე აქ არ არსებობს, გაბრიყვებული ხალხი ვინ იცის რა საშინელებას არა სჩადის.

ახლა აბა სანიტარულად მიმოვავლოთ თვალი ამ ჩვენს კურთხეულს მხარესა. ნაგვისა და ნეხვის გორებით სოფლები მთლად სავსეა, მაგრამ გაწმენდა-გასუფთავება აზრად არავის მოსდის. კარგია კიდევ, რომ ადგილობრივი სადი ჰავა ჰშველით, თორემ გაგიხარიან მუსრს გაადენდათ ათასგვარი ავათმყოფობა. მეორე მათი მხსნელი კიდევ ის არის, რომ ცნკენისთვიდგან ყველაფერი იყინება და სიცივისა გამო აღარა იხრწნება-რა.—ეს სამი წელიწადია სასტიკი ზომებია მიღებული ყაჩაღობის წინააღმდეგ, მაგრამ ყაჩაღობას რა მოსპობს, როცა იგი ღვიძლი შვილია აქაურის უგზო-უკვლოობისა!., თათარი ამბობს: „თუ მწყემსს ჩქარი სასროლი თოფი არა აქვს, რამდენიც გვინდა, იმდენს ცხვარს მოვპარავთო; უბრალო თოფს გაისვრის, გავიგებთ, საითკენაც უნდა გავიდეთო, ჩქარა სასროლს-კი რომ ისვრის, საით გაიშვერს და გასცლის, არ ვიცით, იმიტომ ვერა ვბედავთ იქ მისვლასაო“... ამ მიზეზით ლამის მკვიდრმა საქონლის ყოლას მთლად თავი დაანებოს... სინათლე, სინათლე ამ მხარეში, უფრო-კი გზები, თორემ საცოდაობით კაცს გული უკვნესის!!

X

# უცხოეთი

—

ჩინეთი. როგორც იყო დარწმუნდნენ მოკავშირე სახელმწიფონი, რომ ჩინეთისაგან მეტად სასტიკ პირობების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ უქმად ჩატარებული სიტყვები იქნებოდა, გაუგონეს იაპონიას, რომ ჩინეთი ვერც პრინცებს დასჯიდა, ვერც დიდს საზღაურს გადუხდიდა, გულისხმა-ჰყვეს, რომ მართლაც ასეთი მახლობელი მეზობელი, როგორც იაპონიაა, თითქმის სულიერადაც მონათესავე მისი, ადვილად არ მოტყუვდებოდა და უფრო გონივრულად შეჰხედავდა საქმეს, და გარდასწყვიტეს დასცხრნენ, შედავათიანი პირობები წარუდგინონ ჩინეთს.

როგორც ამ ბოლო დროს მოლაპარაკებიდგანა სჩანს, მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ყველას ისა ჰსურს, ეს უმაყოფილება და უსიამოვნება რაც შეიძლება თავიდგან მალე მოიცილონ, მშვიდობიანობა ჩამოაგდონ. არც ერთს მათგანს აღარა აქვს განზრახვა ჩინეთს ისეთი რამ დააკისრონ, რაც მისთვის შესასრულებლად შეუძლებელი იქმნება, ან-და ახალს ომსა და სისხლის ღვრას გამოიწვევს. ამასთანავე აღარც ერთს მათგანს არა აქვს მიდრეკილება ომი განაგრძოს..

უეჭველია ეს, ეჭვი არ არის, სასიამოვნოა, რომ, თუ ადრე არა, გვიან მაინც არის გაახილეს თვალი და დაინახეს, რომ სისხლის ღვრა მხოლოდ ამწვავებდა ჩინელებს და მათს მიძინებულს თავმოყვარეობას აფხიზლებს, მაგრამ მიზეზი მარტო იაპონიის გულწრფელი რჩევა არ არის... ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ამ სიშორეზედ ჯარების გადარეკვა და სურსათის გადაზიდვა რა უზომო ხარჯსა თხოულობს! რასაკვირველია, ევროპის არც ერთი სახელმწიფო არც ერთსა და არც მეორეს არ დაერიდებოდა, რომ შემდეგში აზღვევა ზარალისა და დანახარჯისა უზრუნველად მიაჩნდეს, მაგრამ სწორედ მიზეზიც მოგონიერებისა აი, აქ არის: მიჰხვდნენ ყველანი, რომ ჩინეთი გაკოტრებული სახელმწიფოა და ვერას დაახწევენ და გონივრულად შეიგნეს... რადგანაც მეტი ხარჯის უქმად გაწევა აღარა ჰსურთ. მაგრამ ერთია ახლა საფიქრებელი: როდემდის გასტანს, ნეტა, ეს მოკავშირეთა წარმომადგენლებისა და ჩინეთის რწმუნებულთა სამშვიდობო მოლაპარაკება?.. თუ რომ დღემდის, აგერ სამი თვეა, ევროპიელნი წარმომადგენლნი ძლივს შეთანხმდნენ, როდესაც ამათ თითქმის ყველას ერთი განათლება აქვს გავლილი, ზნე-ჩვეულებანი უმეტეს ნაწილად ერთნაირად განვითარებული და შეხედულებაც, გარდა გაზვიადებულ გერმანიისა, ერთი და იგივე, მაშ ამათსა და ჩინეთის რწმუნებულთა და მთავრობის შორის მოლაპარაკება და შეთანხმება რამდენს დროს-და მოითხოვს, ალაჰმა უწყის!.. მაგრამ ყველაფერს მოთმენა უნდა ხომ... მეტადრე მაშინ, როდესაც ევროპიელთა პოლიტიკას ჩინელთა პოლიტიკასთანა აქვს საქმე..

## ცილისწამებით თავის მართლება

(ღია წერილი ბ-ნ ნ. თავდგირიძის მიმართ)

(დასასრული *)

მართალია ისიც უნდა ვთქვა, რომ ვინც ბოლომდის გულდასმით წაიკითხა ჩემი წერილი ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის შესახებ, ის ადვილად შეამჩნევდა, რომ თქვენი ციფრები ხსენებული ქალაქის შემოსავალ-გასავალზე ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ როგორც ნამდვილი შემოსავალ გასავლის ციფრები, ისე თვით თქვენი ოფიციალური მოხსენებები და მთავრობის ცნობებიც, რომლებიც მე „კვალში“ გამოვაქვეყნე და რომლების უარ-ყოფას თქვენ ვერა საშუალებით ვერ შესძლებთ, აშკარათ დაადგენენ, რომ ქალაქ ოზურგეთის ხარჯთ-აღრიცხვაში, დღიდან თვით-მართველობის შემოღებისა, მუდამ დეფიციტია, გარდა 1896 წლისა, და, რაც უფრო სამწუხაროა, ეს დეფიციტი არა თუ კლებულობს, არამედ რაც ხანი გადის თანდათან მატულობს, მაშინ როცა თქვენ მიერ მოყვანილი ციფრები სულ სხვას გვეუბნება. იქიდან გამოდის, რომ ოზურგეთს დეფიციტი არც ერთ წელს არ ჰქონებია და ამასთანავე ისიც, რომ ქალაქის „ყოველ საჭიროების დასაკმაყოფილებელი ხარჯი შემოდიოდათ“. მაგრამ რას უშვრებით კომისიის მიერ შემოწმებულ ანგარიშებს ნამდვილი შემოსავალ-გასავლის შესახებ, შემდეგ თქვენსავე ოფიციალურ მოხსენებებს ოზურგეთის დეფიციტების შესახებ („систематически повторяющіеся дефициты“—ეს თქვენი სიტყვებია. იხ. ოქმი 6/IX 1899 წ., შეად. „კვალი“ № 35), და აგრეთვე გამუდმებული გოდება იმაზე, რომ ქალაქის ბევრნაირი საჭიროებანი უსაშუალობის გამო დამოუკიდებელი რჩებაო (იხ. სხვათა შორის ოქმი 28/V 1899 წ., „კვალი“ № 35). თუ უეჭველია ეს სიცრუეა, იმ შემთხვევაში გამოდის, რომ თქვენ მთელი ოთხი წლის განმავლობაში მართალს არ ეუბნებოდით ქალაქის საბჭოს, მთავრობას და საზოგადოებას! მაშ უმჯობესია ისევ თითონ თქვენ აღიაროთ: როდის ამბობდით მართალს, მაშინ, როცა ოზურგეთის გაჭირვებულ მდგომარეობაზე და დეფიციტებზე ლაპარაკობდით, თუ ახლა, გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე, სადაც წინანდელ ნათქვამს აქარწყლებთ და ნამდვილ ფაქტებს უარსა ყოფთ?

შემდეგ თავისს საპასუხო წერილში თქვენ ამბობთ: „ბ-ნ მახარაძის სიტყვიდან გამოდის, რომ ოზურგეთის თვით-მართველობის შემოღების შემდეგ ვითომ მცხოვრებთ გადასახადი მომატებიათ, ახალი ხარჯი დასდებიათ“, და ამის დასამტკიცებლად მას (ე. ი. მე) არც ერთი მაგალითი არ დაუსახელებიაო. მაშ ჩანს, თქვენ ამტკიცებთ, რომ ოზურგეთის მცხოვრებთ ამ ოთხი წლის განმავლობაში არ მომატებიათ გადასახადი? აბა მივმართოთ ფაქტებს. 1895 წელს, ე. ი. მაშინ, როცა ქალაქის საქმეებს პოლიცია განაგებდა, ოზურგეთის მცხოვრებნი ქალაქის სასარგებლოთ იხდიდნენ 3,778 მან. 36 კაპ., 1897 წელს (თვით-მართველობის შემოღების სამი თვის შემდეგ) იმათ გადახდათ 5,838 მან. 59 კაპ., ხოლო 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, როგორც ვიცით, შეტანილია წლიური გადასახადი 9,285 მან. 8 კაპ. (თქვენი ანგარიშით ბევრათ ამაზე მეტი, ე. ი. 12,585 მან. 77 კაპ., მაგრამ ამას ჩვენ არ ვღებულობთ), ე. ი. 5507 მან. ანუ 146% მეტი, ვინემ ამ ხუთის წლის წინეთ. რა არის ეს, თუ არ მომატება? ან შეიძლება ეს ზედმეტი ფული ზეციდგან ჩამოგივარდათ ქალაქის კასაში? კერძოთ დაგისახელებთ, თუ რომელ გადასახადს მიემატა ყველაზე უფრო,—ეს არის უძრავი მამულები. 1895 წელს ეს წყარო იძლეოდა მხოლოდ 1300 მან. 68 კაპ., ხოლო 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში თქვენ შეტანილი გაქვთ წლიური გადასახადი მამულებზე 3478 მან. 94 კაპ., ე. ი. მეტი 2,178 მან. 26 კაპ., ანუ 167,5%. შეიძლება თქვენ ენაზე ამას მომატება არ ჰქვია, ან შეიძლება ეს მომატება ოზურგეთის უძრავ მამულების შემოსავლის მატებისაგან არის გამოწვეული? თუ ეს უკანასკნელი მოსაზრება მართალია, სად არის ამის საბუთი? პირიქით, ნამდვილი ფაქტები იმას მოწმობენ, რომ შენობების შემოსავლება ოზურგეთში შესამჩნევათ იკლო, რასაც თქვენ თითონ ამბობთ ერთ თავისს მოხსენებაში (იხ. „კვალი“ № 34); მაგრამ ყველაზე უფრო ცხადათ ამას უძრავ მამულებზე

*) იხ. „ივერია“ № 259.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენილი გადასახადი (НЕДОИМКИ) ამტკიცებს, რომლის რიცხვი თანდათან იზრდება, ასე რომ 1900 წლის 1 იანვარს ეს დარჩენილი გარდასახადი 3,807 მანეთს აღემატებოდა, ე. ი. წლიური გადასახადზედ მეტი იყო 470 მანეთით, ანუ 13,4 %. გარდა ამისა, ცხენებზე და ხარ-კამეჩებზე გადასახადი პირველათ თქვენ არ შემოიღეთ, რაც ჩემს წერილშიაც აღნიშნულია (იხ. „კვალი“, № 34)? კიდევ სხვა ბევრი გადასახადის დაწესება და შემოღება გსურდათ, მაგრამ თქვენი განზრახვა არ იქმნა განხორციელებული.

თქვენ, სხვათა შორის, მისაყვედურებთ, რომ მე ქება-დიდებით არ მოვიხსენიე თქვენი დვაწლი იმის გამო, რომ მთავრობამ აპატივა ოზურგეთს 848 მან. 69 კაპ., რომელსაც ქალაქი ოზურგეთი იხდიდა წლიურათ ამიერ-კავკასიის პოლიციის სასარგებლოთ, ასე რომ დღიდან თვითმართველობის შემოღებისა, თქვენი სიტყვით, ქალაქი აღარ იხდის არც ამ 848 მან. 69 კაპ., და გარდა ამისა კიდევ არც 895 მან. ადგილობრივი პოლიციის შესანახათ, ე. ი. სულ 1743 მან. და 69 კაპ. რომ ამ ფულს მთავრობა აღარ ახდევინებს დღეს ოზურგეთს, ეს თქვენი დვაწლი იმდენათ არის, რამდენათ თვით ქალაქ ოზურგეთის შეუძლებლობა და უსამუალობა. აი, ეს ფული რომ თქვენ რაიმე საზოგადო სასარგებლო საქმისთვის მოგეხმარებინათ, მაშინ მოვიხსენებდით თქვენს დვაწლს ქებით, და მხოლოთ მაშინ. თორემ ახლა რისთვის? რა გააკეთეთ იმ 1743 მანეთით, რომელიც წინეთ, თვითმართველობის შემოღებამდის, პოლიციაზე იხარჯებოდა და რომელიც შემდეგ, თქვენივე სიტყვით, ქალაქის კასაში რჩება ყოველ წლივ? მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ფული თქვენ იმისთვისაც-კი ვერ იმეოფინეთ, რომ ქალაქის აუცილებელი საჭიროებანა დაგეკმაყოფილებინათ და ქალაქის დეფიციტებიც ცოტათი მაინც შეგემცირებინათ.

მე სრულიად ზედმეტად მიმაჩნია თქვენი წერილის უშმაწურ კილოზე ლაპარაკი: აღბათ თქვენ ასე გისწავლიათ. დეე, მიუდგომელი მკითხველი იყოს ამაზე მსჯავრის დამდები. აქ დავსძენ მხოლოთ იმას, რომ თქვენ ტყუილა უბრალო შეიწუხეთ თავი ჩემი წერილის შესარყევათ.

ფ. მახარაძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

როგორც ფრანგული გაზეთები გადმოგვცემენ, ამას წინად სენტ-გოდანსში სიკვდილით დაუსჯიათ დედისა და ღვიძლის შვილის მკვლელი ეტიენ პორტესი. პორტესი 46 წლის კაცი იყო. ქვრივი პორტესი თავისს დედასთან ერთად მუშონში სცხოვრობდა, სადაც რამდენისამე წლის განმავლობაში შესჭამა და გაჰფანტა დიდძალი ქონება. უკანასკნელ დროს პორტესი თავს იკვებავდა დედისა და 16 წლის შვილის შრომით აღებულის ფულით. დედა ხშირად აყვედრიდა შვილს უქმად დროს გატარებისათვის, რის გამო დედა-შვილს თითქმის ყოველ დღე კინკლაობა ჰქონდათ. გადასწყვიტა რა დედის თავიდგან მოშორება, პორტესმა 3 ივნისს ღამე ნაჯახით თავი გაუპო და სიცოცხლე მოუსპო. დედის შემდეგ პორტესი ასევე მოექცა შვილსაც. მოკლულთა გვამები პორტესმა სკივრში ჩააწყო, შემდეგ არხეინად ტრაკტირში წავიდა საქეიფოდ. მკვლელობა მეორე დღესვე გამოაშკარავდა, და მკვლელი საპყრობილეში ჩასვეს. გამოძიების დროს პორტესმა დაწვრილებით აღწერა ყველაფერი; ამასთან ერთის სიტყვითაც-კი არ განაცხადა სინანული, სიკვდილით პორტესი სენტ-გოდანსის მოედანზედ დასაჯეს. როდესაც მოსამართლენი საპყრობილეში დამნაშავის ოთახში შევიდნენ, პორტესი ღრმა ძილში იყო. განაჩენის გამოცხადებისას, პორტესი ძლიან გაყვითლდა და მღვდელი მოითხოვა. აღსარებისა და ზიარების შემდეგ კიდევ ყავა მოისურვა რომით. ვიდრე საფრანგეთში ცნობილი ჯალათი დეიბლერი ტანისამოსს ამზადებდა, პორტესმა კარანდაშით პატარა ქაღალდზედ დასწერა: „მე ვკვდები, როგორც კეთილი ქრისტიანე. მომპარეს საცვლები და მთელი ქონება, მაგრამ ქურდებისთვის მაინც მიპატივებია. პორტესი“. მკვლელმა მოისურვა, რომ იმისი წერილი გამოექვეყნე ბინათ. ამის შემდეგ ჯალათმა გადასცა ხალათი და თავისს მოსაკვეთად მოამზადა. თუმცა დილა-აღრე იყო, ხალხი მაინც ბლომად შეკრებილიყო მოედანზედ. ჯალათმა ნაჯახის ერთის დაკვრით მოაგდებინა თავი დამნაშავეს.

* * *

ერთი სოლომონ ბრძენი ამერიკაშიაც აღმოჩენილა. გეორგიაში, გაზეთების სიტყვით, ერთი მოსამართლე ამას წინად დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. ორ დედაკაცს ექვსის თვის ბავშვი მიუყვანიათ; ორივე იძახდა, ჩემია ბავშვიო. მოსამართლეს სოლომონის ბრძნული გადაწყვეტილება მოჰგონებია და მოსამსახურეებისათვის დაუძახნია, მოიტა დანა ბავშს შუაზედ გავუყობ მოდავეთაო. იმავე წუთს ორივე დედაკაცს ერთად დაუყვირიათ, არა, ნუ გასჭრით ბავშვს, არ გვინდაო; ორივენი გარედ გავარდნილან და ბავშვი მოსამართლესთვის დაუტოვებიათ.

* * *

ამას წინად გაზეთი „Figaro“ შეჰკითხებია ფრანგ რომანისტებს, რა აზრისა ხართ მომავალის, მე-XX საუკუნის ლიტერატურის შესახებაო. პირველი პასუხი გაზეთს ემილ ზოლასაგან მიუღია. აი რასა სწერს შესანიშნავი რომანისტი: „მე მრწამს, რომ კაცობრიობა წინ მიდის როგორც ლიტერატურულად, ისე სოციალურად. ეს მსვლელობა ნელი და დინჯია, რადგანაც ხშირად კაცობრიობა სამ ნაბიჯს წინ გადადგამს ხოლმე და ორს უკან, მაგრამ შეძენილი ცოდნა რჩება, გამორკვეული ჭეშმარიტება აღარაოდეს უარყოფილი აღარ იქმნება... ეს-კი პროგრესია. წინ კაცობრიობას ამ საქმეში მწერალნი და პოეტნი მიუძღვებიან. მე, როგორც ძველ რეალისტს, მრწამს, რომ მერმისში განახლებული ლიტერატურული იდეალიზმი დროებით შეფერხება იქმნება ლიტერატურისა. მერმისი იდეალიზმს-კი არა, დაკვირვებასა და კვლევა-ძიებაზედ დამყარებულ რომანს ეკუთვნის. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ლიტერატურიდგან ოცნება განდევნილ უნდა იქმნას. ოცნება მისსია საუკუნოა. მე გაკვირებული შევცქერი ჩვენ საუკუნის მხნეობას, რომელმაც ამდენი გააკეთა, ამდენი იმუშავა და მაინც ცუდად გაათავა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მრწამს, რომ საფრანგეთი გააკეთებს იმას, რაც გასაკეთებელი დარჩა“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ნოემბერი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. უეტტონმა თავისი წინადადება, რომელიც ჩინეთის შესახებ ადრესს უნდა დაჰმატებოდა, უკანვე დაიბრუნა. ადრესის შესახებ კამათის დროს ლლოიდ ჯორჯმა შეიტანა დამატება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მინისტრები არც პირადად და არც სხვათა მეოხებით არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი იმ ფირმების საქმეებში, რომელნიც მთავრობისაგან საქონლის შეკვეთის მიღებას სცდილობენო. წინადადების ავტორი და რადიკალთა სხვა ორატორნი დაწვრილებით შეეხნენ ჩემბერლენისა და იმის ნათესავთა კავშირს იმ საზოგადოებებთან, რომელთაც მთავრობა საქონელს უკვეთავს; მაგრამ ამასთან ორატორთ ისიც განაცხადეს, იმის ბრალს არა ვდებთ მინისტრს, ვითომ კერძოდ თვითონ მოსყიდული იყოსო. დიდად აღელვებულმა ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საქმე ჩემ პირად პატიოსნებას შეეხება: შეთქმულება შესდგა, რათა ცილი შემწამონ, მაგრამ საქმე ისე მიჰყავთ, რომ არ შემიძლიან სახივარი ავღძრა მათ წინააღმდეგ, ჩემ ნათესავთ-კი აზრადა აქვთ სასამართლოს მიჰმართონ. საპოლიტიკო ასპარეზზედ მოქმედების დროს არასოდეს არ გამომიყენებია ჩემი გავლენა და არასოდეს არ ვცდილვარ, რომ უკანონო გზით ქონებრივად შემეძინა რამ ჩემთვის ან ჩემის ძმისათვისაო. (ძლიერის მოწონების ნიშნები). ორატორმა დაწვრილებით განმარტა, რა მონაწილეობას იღებდა კამათში ორსავე საზოგადოების შესახებ და დასასრულ სთქვა, რომ მოწინააღმდეგენი იმ მეცადინეობით, რომ შეურაცხყოფა მომაყენონ, ხასიათს უკარგვენ პარლამენტს; ეს კია, შეურაცხყოფა არც მე შემეხო და არც პარლამენტს (მოწონების ნიშნები). იუსტინ ჩემბერლენმა განმარტა, რომ, როგორც ხაზინის ლორდი, მე არაფრით არ ჩავრეულვარ მთავრობისათვის საქონლის შეკვეთის საქმეშიო. კემპბელ ბანნერმანმა შენიშნა, რომ პრინციპიალურად თანახმა ვარ ჯორჯის წინადადებისაო. ბალფური წინააღმდეგია, რადგანაც ეს წინადადება პირადად ჩემბერლენის წინააღმდეგაა მიმართულიო. წინადადება უარ-ჰყვეს. ადრესი მიიღეს.

**ბერნი.** საკავშირო საბჭომ ერთხმად დაადგინა მიიღოს გადაწყვეტილი მდგომარეობა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც აღძრა საერო საბჭომ ტრანსვაალის საქმის გამო სამედიატორო სასამართლოს მოთხოვნის შესახებ. მიენდო თავმჯდომარეს გამოარკვიოს საერო საბჭოში საკავშირო საბჭოს შეხედულება.

**შანჰაი.** ვიცე-კოროლმა ჯანჯიდუნმა აცნობა ინგლისის მთავარ ელჩს, ჩრდილოეთ ჩინეთიდგან მოვიდა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოკავშირეთ ექვსი მაზრა დაიჭირეს ჩილის პროვინციაში, ტიანძინის სამხრეთით შანტუნის საზღვრამდეო.

**ვაშინგტონი.** ვაშინგტონში მოიწონეს მოქმედება ჩაფფისა, რომელმაც განდევნა მძარცველნი პეკინის იმ ნაწილიდგან, რომელიც ამერიკელთ ემორჩილება, და საასტრონომიო იარაღის ჩამოღების გამო პროტესტი განაცხადა. ერთმა წარჩინებულმა კაცმა სთქვა, რომ მაკ-კინლეის მოსწონს უმთავრესი ადგილები იმ ნოტისა, რომელიც ჩაფფიმ ვალდერზეეს გაუგზავნაო.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ გენერლების ნოქსისა და დევეტის ჯარები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლასაო. ცნობებს დროით იმიტომ ვერ იუწყებიან, რომ იმ ადგილამდე, სადაც ნოქსის ტელეგრაფი არ არის გამართული ბრძოლა განუწყვეტელია, ამასთან ბრძოლის ველი მალ მალ იცვლება.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირა მღ. ალექსი ბაქრაძემ შემდეგი წიგნები და სურათები:

1, წმ. დიონოსი არიოპაგელის ეპისტოლე ტიმოთე მოციქულისადმი. ხელთ.

2, წიგნი იოსებ არიმათელისა. ხელთნაწერი.

3, წიგნი კასიანე რომაელისა, ამოწერილი ათონის ივერიის მონასტრის პერგამენტიდამ. ხელთ.

4, აია სოფიას ეკკლესია. (ძველი მოთხრობა). ხელთ.

5, წმ. თეოდორე სალოსის მოთხრობა. ხელთ.

6, ვაი ლოთებს, საუბარი მღვდლისა მრევლთან უზომოთ ღვინის სმაზედ. ქუთაისი 1885 წ.

7, რაპორტი პილატესი რომის კეისრისადმი. ხელთ.

8, საფილოსოფოსო (ერთი რვეული).

9, სასინოდო სიტყვა ნერსეს ლამბრონელისა. ხელთ.

10, წიგნი სულის-სიცოცხლისა და ხორცთა მოკვდავისათვის. ხელთ.

11, ავგაროზი, ქუთაისი ჩყჲგ წ.

12, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა ტფილისი 1852 წ.

და 13, სურათები: წმ. გიორგისა, დავით აღმაშენებელისა, წმ. თეოდორესი.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

2 დეკემბერს:

სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსისა და მისი-თანაშემწის კაზიმიროვისა და რომანოვისა, რომელთაც თანამდებობის აღსრულების დროს დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ;

იოსებ ყანჩელისა, რომელსაც ილია ყანჩელის მოკვლა ბრალდება;

გიორგი ტატულაშვილისა, რომელსაც დაფარული მტაცებლობა ჰბრალდება.

5 დეკემბერს:

თომა რაზმაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება; ანასტასია წერეთლისა, რომელსაც გაზეთის შემწეობით ცილის წამება ჰბრალდება;

პეტრე გეჩუაშვილისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ედება ბრალად;

ზაქარია თალათაძისა, იაკობ შილიგინაშვილის, ივანე მერაბაშვილისა და გიორგი მარგიშვილსა, რომელთაც საიდუმლოდ არაყის გამოხდა ედებათ ბრალად.

7 დეკემბერს:

ქოდალოს პოლიციის ბოქაულის ჯორჯაძისა, რომელსაც თანამდებობის აღსრულების-დროს დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება;

პოლიციის ბოქაულად ნამყოფ მეფისაშვილისა, რომელსაც თანამდებობის აღსრულების დროს დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

9 დეკემბერს:

იასე ღოღაძისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება; სამსონ ქოსაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება; ფილიმონ გველესიანის, რომელსაც სასჯელთა-დებულების მე-1656 მუხლში-აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად;

სიდო ფირცხალავასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-940 მუხლში-აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა-ედება ბრალად;

მელიტონ კუპრეიშვილისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება, კოწია ძაძამიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1453 მუხლში აღნიშნულ დანაშაულების ჩადენა ედება ბრალად;

სილოვან ეჯიბიასი, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება.


# განცხადებანი

„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს

# პრემიებს

სალიტერატურო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პირობები შემდეგია: 1) საპრემიოთ წარმოდგენილ ორიგინალურ თხზულებაზედ დანიშნულია ღირსების კვალობაზედ: 150 **მან., 100 მან. და 50 მან.**; 2) პრემია შეიძლება მიეცეს ევროპის რომელიმე კლასსიკის თხზულების თარგმანშიაც, ხოლო თუ იგი გადმოღებულია პირდაპირ უცხო ენიდამ. აქაც სამნაირი ჯილდოა: **70 მან., 50 მან. და 20 მან.** ორივე შემთხვევაში (§§ I, II) უფრო სასურველია არა ვრცელი თხზულება.

შენიშვნა. თარგმანები არა პირდაპირ უცხო ენიდგან ან რუსის მწერალთა ნაწარმოებთა შეიძლება მხოლოდ პრემიის მიუცემლად დაჰბეჭდოს ამხანაგობამ თავის ხარჯით.

3) ყოველგვარი სალიტ. ნაწარმოები უნდა გამოეგზავნოს ამხანაგობას (ადრესი: Г. Кутаисъ, Кутаисск. книго-издат. Товарищ.) რაიმე დევიზის ზედ-წარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კანვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოგზავნილი ნაწარმოები ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად, 4) ვადა თხზულების გამოგზავნისა არის არა უგვიანეს 1 მარტისა 1902 წ.; 5) დაჯილდოვებულ თხზულების ავტორს პრემიის გარდა შეიძლება მიეცეს კიდევ გონორარი; 6) შედეგები კონკურსისა და აგრეთვე რეცენზია დაჯილდოვებულ თხზულებაზედ გამოცხადდება გაზეთებში; 7) ყოველი საპრემიოთ გამოგზავნილი ნაწარმოები კარგის ქართულის სალიტერატურო ენით უნდა იქმნეს დაწერილი; 8) პრემიები მიეცემა ავტორებს იმ ფულიდგან, რომელიც შემოუვა ამხანაგობას დაჯილდოვებულ წიგნის გასყიდვისაგან.

(10—6—7)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—14)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

მ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—7)



ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—29)


„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты, Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его-же | „ | 25 |
| Письма о грузіи, Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სომხეთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი | „ | 30 |
| ნამდვილი სამსახური, მოთ. | „ | 40 |
| Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед. | „ | 20 |
| Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К. | „ | 20 |
| თხზულებანი პუშკინისა | „ | 50 |
| სულიკო, აკაკისა | „ | 10 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| მეზობლები | „ | 5 |
| ლაზარილიო | „ | 10 |
| მეცნიერებისათვის წამებულნი | 1 | „ |
| მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი | „ | 40 |
| საერო დღესასწაული | „ | 25 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | „ | 50 |


## ახალი მოდის ტანისამოსის ანდაზები

1900/1 წლის ნიმუშებისა, სქელს ქაღალდზედ, გამოსაჭრელ ტანისამოსის ზომისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიფი ახალის სახელოებით | 40 კ. | კაპოტ-პრინსეზი | 50 კ. |
| ინგლისური პერანგი | 35 „ | ტანისამოსი-პრინსეზი | 50 „ |
| კოფტა მატინე ნაოჭებით | 40 „ | სხვა-და-სხვა როტონდები | 60 „ |
| სასეირნო იუბკა | 35 „ | ჟაკეტ-საკი | 40 „ |
| საბალო, ან საპატარძლო იუბკა | 50 „ | მოკლე პალტო-საკი | 50 „ |
| სადარბაზო იუბკა | 35 „ | პალტო-საკი | 60 „ |
| იუბკა ამაზონით | 75 „ | ქურქი-საკი | 50 „ |

ვინც თავის ზომას გაგზავნის ტანისამოსის გამოსაჭრელად, თითო გამოჭრა 20 კ. მეტი ღირს.

აგრეთვე გვაქვს გამოჭრილი ნიმუშები: ბავშვებისა (ქალისა და ვაჟის) მთელი ტანისამოსი 30 კაპეიკიდგან, მამაკაცთა (სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო წოდების კაცთათვის)—კატალოგით. ერთის ტანისამოსის ანდაზის გაგზავნა დაზღვეულის ბანდეროლით ღირს 11 კ. თუ რამდენიმეა დაკვეთილი, მაშინ ყოველ მეტის გასაგზავნად დაემატება 4 კ. ფულის გამოგზავნა ფოსტის მარკებით შეიძლება. ფასდადებით ანდაზები არ გაიგზავნება. ვინც ერთად 5 და მეტს ანდაზას გამოიწერს, მანეთზედ 25 კ. დაეთმობა.

ყველა მოდის ჟურნალთა მთავარი საწყობი

ი. ა. პოზინისა, მოსკოვი, ალექსანდრეს პასაჟი. (5)

ჟურნალთა და ანდაზათა კატალოგი უფასოდ იგზავნება.



# 1901 წლ.

## მიიღება ხელის მოწერა „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

**ყოველ-თვიური ჟურნალი „მოამბე“** (წელიწადი მერვე)

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 6 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 3 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი

**ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“** (წელიწადი მეექვსე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 9 მ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 7 „ |
| 1 „ | 75 კ. | 1 თ | 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი,—
თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნის ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

**გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.**

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზედ სტრიქონი—10 კაპ., მე 4—5 კ., თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზედ მარტიროზოვის სახლში, ტელეფონი № 372. (3—3)



საისტორიო-საარქეოლოგიო და საგეოგრაფიო-საეთნოგრაფიო

ყოველ-თვიური სურათებიანი ჟურნალი

# „მოგზაური“.

მომავალ 1901 წლის იანვრიდგან, მთავრობის ნება-დართვით, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის რედაქტორობით, გამოვა ქართული ახალი ჟურნალი „მოგზაური“. ჟურნალს მიზნად აქვს ადგილობრივ აწეროს და დაასურათოს ჩვენის ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ნაშთი, საგანი და პირი. გარდა ამისა, ჟურნალი ადგილს მისცემს თავისს ფურცლებზედა საქართველოს და მისს ნაწილთა და მკვიდრთა შესახებ ყოველგვარ სტატიებსა, მოთხრობებსა, პოემებსა, ლექსებსა, გარდმოცემებსა და ზღაპრებსა ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ შინაარსის.

პირველი ნომერი გამოვა საახალწლოდ, ხოლო შემდეგნი ყოველ თვის პირველ რიცხვებში, ერთიდამ ორ ბეჭდურ თაბახამდის (32—64 გვ.) და ეღირება წლით 5 მანეთი, ნახევარ წლით—3 მანეთი. რადგანაც გამოცემა ასეთის სპეციალურის ჟურნალისა იაფად არ დაჯდება, ვთხოვთ ჩვენის წარსულის და ქვეყნის მოყვარეთ დაგვეხმარნენ ამ ახალს საქმეში ხელის-მოწერით და შესაფერის სტატიების და სურათების გამოგზავნით. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію „Могзаури“.

ტფილისში მცხოვრებთაგან ხელის-მოწერა მიიღება წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების და ი. იმედაშვილის წიგნების მაღაზიებში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე, შუადღის სამ საათზედ, ბაქრაძის სახლებში № 20, დავითის ვიწრო ქუჩაზედ.



**открыта подписка на 1901 годъ на**

XIV-ый годъ изданія **„СѢВЕРЪ“** XIV-ый годъ изданія

**еженедѣльный иллюстрированный литературно-художественный журналъ.**

Въ 1901 году гг. подписчики „Сѣвера“ получатъ: 52 №№ роскошно иллюстрированнаго журнала, въ литературномъ и художественномъ отдѣлахъ котораго, по примѣру прошлыхъ лѣтъ, будутъ печататься произведенія нашихъ извѣстныхъ писателей и художниковъ; 52 №№ еженедѣльнаго обозрѣнія политической и общественной жизни, въ форматѣ газеты, состовляющей отдѣлъ журнала „Сѣверъ“; 12 №№ журнала „Парижскія моды, Хозяйство и Домоводство“, со множествомъ новѣйшихъ модныхъ рисунковъ и полезныхъ указаній, необходимыхъ для хозяйства и домашняго обихода; 12 №№ выкроекъ на отдѣльныхъ большихъ листахъ съ узорами и рисунками дамскихъ рукодѣлій; кромѣ того, на основаніи пріобрѣтеннаго отъ автора права печатанія всѣхъ вышедшихъ въ свѣтъ его произведеній, редакція, не останавливаясь передъ значительными денежными затратами, дастъ въ теченіе одного 1901 года, въ книгахъ „Библіотеки Сѣвера“, на глазированной бумагѣ, съ портретомъ автора,

**24 тома** СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ **24 тома**

# А. Л. МОРДОВЦЕВА,

въ которые войдутъ: 1) „За чьи грѣхи?“, ист. пов. 2) „Сагайдачный“, ист. пов. 3) „Господинъ Великій Новгородъ“, ист. ром. 4) „Наносная бѣда“, ист. пов. 5) „Царь и гетманъ“, ист. ром. 6) „Нашъ Одиссей“, ист. ром. 7) „Двѣнадцатый годъ“, ист. ром. 8) „Великій расколъ“, ист. ром. 9) „Авантюристы“, ист. пов. 10) „Соловецкое сидѣнье“, ист. пов. 11) „Между Сциллой и Харибдой“, ист. пов. 12) „Кумъ Иванъ“. быль. 13) „Онъ идетъ“, быль. „Сила вѣры“, быль. 15) „Замурованная царица“, ист. пов. 16) „Ванька Каинъ“, ист. оч. 17) „Понизовая вольница“, ист. мат. 18) „Русскіе чародѣи и чародѣйки“, ист. оч.

**Въ отдѣльной продажѣ сочиненія эти стоятъ 20 рублей.**

Кромѣ всего этого, гг. годовые подписчики получатъ роскошный альбомъ:

**„ГАЛЛЕРЕЯ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ И ХУДОЖНИКОВЪ“**

въ который войдутъ исполненные фототипогравюрой портреты нашихъ извѣстныхъ художниковъ слова, кисти и рѣзца, съ ихъ біографіями и характеристиками.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| Безъ доставки въ С.-Петербургѣ. 6 р. | Безъ доставки въ Москвѣ: 1) въ конт. Л. и Э. Метцль и К-о; 2) въ кн. маг. Альшвангъ и Герлахъ (пр. мал. театра). 6 р. 25 к. | Безъ дост. въ Одессѣ въ кіоскахъ Г. В. Свистунова 6 р. 50 к. | Съ перес. во всѣ города и мѣст. 7 р. |

На 1/2 года съ дос. и перес. 3 р. 50 к., на 3 м.—1 р. 75 к., на 1 м.—60 к. За границу—11 р.

разсрочка допускается по полугодіямъ, четвертямъ года и помѣсячно. Поручительствъ гг. казначеевъ и управляющихъ не требуется. Подписки въ кредитъ не принимаются. Подписавшіеся съ разсрочкою и уплатившіе къ концу подписную плату сполна получатъ премію наравнѣ съ гг. годовыми подписчиками.

Подписки просятъ адресовать въ Главную контору журнала „Сѣверъ“ (СПБ., Невскій пр., 170) на имя издателя **Ник. Ѳед. МЕРТЦА.**

**Пробный № высыл. безплатно.** **Пробный № высыл. безплатно.**

(3)